ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4800414

ნომერი: AR1723745

თარიღი : 10.12.2019

გაცემის თარიღი : 23.12.2019

გაცნობის თარიღი : 23.12.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წყნეთი , კორპუსი 2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე სარჯველაძე პ/ნ 01009003377
- თბილისი ო.თაქთაქიშვილის ქ. N 3/43 ბ. 41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის მიერ № 4796621 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ № 4796621 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, კერძოდ:

- არ არის წარმოდგენილი არსებული და საპროექტო გეგმები და ჭრილები.
- საკადასტრო გეგმაზე ზუსტად არ არის მონიშნული საპროექტო ადგილი. (ამჟამად თქვენს მიერ კვლავ წარმოდგენილია საკადასტრო გეგმა, სადაც მონიშნული ადგილი არ შეესაბამება წარმოდგენილ დოკუმენტაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ კარის ღიობის გაჭრა ხორციელდება შენობის შიგნით სადარბაზოში, ხოლო საკადასტრო გეგმაზე მონიშნულია შენობის გარე ფასადი).

ზემოაღნიშნულის და № 4796621 19.12.2019წ. გადაწყვეტილების შესაბამისად AR1723745 განაცხადი დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.